

საბუღალტრო აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში  
I სემესტრი. 2018-2019 წელი

შუალედური გამოცდის ნიმუში

Question 1

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაცია არის:

Select one:

- a. მხარჯავი დაწესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან
- b. საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებული და მის მიმართ ანგარიშვალდებული ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება.
- c. მხარჯავი დაწესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას

Question 2

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების მიზნით მხარჯავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ საბიუჯეტო განაცხადებს:

Select one:

- a. არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა
- b. არა უგვიანეს 15 სექტემბრისა
- c. არა უგვიანეს 1 სექტემბრისა

Question 3

საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს:

Select one:

- a. ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, ხარჯების ფუნქციონალურ კლასიფიკაციას;
- b. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციას, ბუღალტრულ ანგარიშთა კლასიფიკაციას;
- c. ორივე პასუხი სწორია.

Question 4

სახელმწიფო ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია გულისხმობს ხარჯების დაჯგუფებას შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

Select one:

- a. შრომის ანაზღაურება
- b. საქონელი და მომსახურება
- c. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

### Question 5

საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური აქტივები მოიცავს:

Select one:

- a. ფულად სახსრებს, ფინანსურ მოთხოვნებს და საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნებს.
- b. ფულად სახსრებს, არაფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს
- c. მხოლოდ ფულად სახსრებს

### Question 6

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გრანტი არის:

Select one:

- a. მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფულადი სახსრები რომელიც გამოიყენება: ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული და სხვაპროგრამების განსახორციელებლად;
- b. უსასყიდლოდმიღებული მიზნობრივისახსრები, რომელიც გამოიყენება: ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული და სხვაპროგრამების განსახორციელებლად;
- c. უცხო ქვეყნების მთავრობებიდან გამოყოფილი გრძელვადიანი სესხები რომელიც გამოიყენება: ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული და სხვაპროგრამების განსახორციელებლად;

### Question 7

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯები იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

Select one:

- a. პროცენტები, სუბსიდიები, გრანტები და ბიუჯეტიდან დაფინანსება
- b. შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება;
- c. სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვა

### Question 8

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, სუბსიდიები წარმოადგენს:

Select one:

- a. სესხებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებზე
- b. უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, არაკომერციულ იურიდიულ პირებზე და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად;
- c. დაბრუნებად ტრანსფერებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, არაკომერციულ იურიდიულ პირებზე და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად;

### Question 9

არაფინანსურ აქტივებს მიეკუთვნება:

Select one:

- a. მატერიალური მარაგები და ფასეულობები;
- b. ძირითადი აქტივები და არაწარმოებული აქტივები;
- c. ორივე პასუხი სწორია

### Question 10

საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ შექმნილი იქნა შენობა-ნაგებობები. თანხა ხაზიდან გადარიცხული არ არის. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება ძირითადი აქტივების შემოსავალში აღებაზე.

Select one:

- a. დებეტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“  
კრედიტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“
- b. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“  
კრედიტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“
- c. დებეტი 2110 „შენობა-ნაგებობები“  
კრედიტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“

### Question 11

საბიუჯეტო ორგანიზაციამ საკუთარი სახსრებით ჩაატარა სამშენებლო სამუშაოები შენობის ასაგებად, რაზედაც დახარჯულია 30000 ლარის მასალები. ასახეთ ბუღალტრულად მასალების ხარჯი:

Select one:

- a. დებეტი 2140 დაუმთავრებელი მშენებლობა  
კრედიტი 2221- ნედლეული და მასალები
- b. დებეტი 2110 „შენობა-ნაგებობები“  
კრედიტი 2140 „დაუმთავრებელი მშენებლობა“
- c. დებეტი 2221 „ნედლეული და მასალები“  
კრედიტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“

### Question 12

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციიდან ძირითადი საშუალებები გადაეცა იგივე დონის ორგანიზაციას. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება ძირითადი საშუალებების გადამცემ ორგანიზაციაში.

Select one:

- a. დებეტი 2100 „ძირითადი აქტივები“  
კრედიტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“
- b. დებეტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“  
კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“
- c. დებეტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“  
კრედიტი 2100 „ძირითადი აქტივები“

### Question 13

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციიდან სატრანსპორტო საშუალებები გადაეცა ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციას. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება სატრანსპორტო საშუალებების მიმღებ ორგანიზაციაში:

Select one:

- a. დებეტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“  
კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“
- b. დებეტი 2100 „ძირითადი აქტივები“  
კრედიტი 5100 „წმინდა ღირებულება“
- c. დებეტი 2121 „სატრანსპორტო საშუალებები“  
კრედიტი 6320 „გრანტები სასაქონლო ფორმით“

### Question 14

საჯარო სამართლის ირიდიულმა პირმა მოახდინა სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია, რომლის საბალანსო (ნარჩენი) ღირებულება შეადგენდა 12000 ლარს. სატრანსპორტო საშუალება გაიყიდა 15000 ლარად. თანხა ჩარიცხულია ანგარიშსწორების ანგარიშზე. ასახეთ ბუღალტრულად რეალიზაციიდან მიღებული თანხა:

Select one:

- a. დებეტი 6421 „გაყიდული საქონელი და მომსახურება“ 15000  
კრედიტი 5210 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი“ 15000
- b. დებეტი 1210 ` მიმდინარე ანგარიში ბანკში` 15000  
კრედიტი 6421 „გაყიდული საქონელი და მომსახურება“ 15000
- c. დებეტი 6421 „გაყიდული საქონელი და მომსახურება“ 15000  
კრედიტი 1210 ` მიმდინარე ანგარიში ბანკში` 15000

### Question 15

საბიუჯეტო ორგანიზაციის ბალანსიდან სიძველის გამო ჩამოწერილია შენობა. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

Select one:

- a. დებეტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“  
კრედიტი 2100 „ძირითადი საშუალებები“
- b. დებეტი 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“  
კრედიტი 2110 „შენობა-ნაგებობები“
- c. დებეტი 7310 „ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა“  
კრედიტი 2110 „შენობა-ნაგებობები“

### Question 16

როგორ გატარდება ბუღალტრულად სატრანსპორტო საშუალებებზე ცვეთის (ამორტიზაციის) დარიცხვა?

Select one:

- a. დებეტი 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“  
კრედიტი 7310 „ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა“

- b. დებეტი 7310 „ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა“  
კრედიტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“
- c. დებეტი 7310 „ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა“  
კრედიტი 2121 „სატრანსპორტო საშუალებები“

### Question 17

საბიუჯეტო ორგანიზაციების მატერიალური მარაგების შექმნის ღირებულებაში შედის:

Select one:

- a. არაპირდაპირი გადასახადები და ყველა სხვა ხარჯები;
- b. მათი შექმნის ფასი, იმპორტისგადასახდი დასხვა პირდაპირი გადასახადები;
- c. სატრანსპორტო ხარჯები და ყველა ის დანახარჯი, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მატერიალური მარაგების შექმნასთან პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ჩათვლით.

### Question 18

შექმნილია მატერიალური მარაგები, რომელიც აღებული იქნა შემოსავალში. თანხა ხაზინიდან გადარიცხული არ არის. ასახეთ ბუღალტრულად მარაგების შემოსავალში აღება:

Select one:

- a. დებეტი 2227 "მატერიალური მარაგები"  
კრედიტი 3210 "ვალდებულებები მიწოდებიდან"
- b. დებეტი 2227 "მატერიალური მარაგები"  
კრედიტი 4100 "ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება"
- c. დებეტი 7200 "საქონელი და მომსახურება"  
კრედიტი 3210 "ვალდებულებები მიწოდებიდან"

### Question 19

საბიუჯეტო ორგანიზაციამ შეიძინა მატერიალური მარაგები (სათადარიგო ნაწილები), რომელიც აღებული იქნა შემოსავალში. ასახეთ ბუღალტრულად სათადარიგო ნაწილების შემოსავალში აღება და მიმწოდებელთან დავალიანების წარმოქმნა

Select one:

- a. დებეტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“  
კრედიტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
- b. დებეტი 1626 „სათადარიგო ნაწილები“  
კრედიტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
- c. დებეტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“  
კრედიტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“

### Question 20

ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილია კვების პროდუქტების დანაკლისი, რომლის მიზეზის დადგენა შეუძლებელი გახდა. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

Select one:

- a. დებეტი 1450 მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ კრედიტი 7200 „საქონელი და მომსახურება“
- b. დებეტი 7820 „სხვადასხვა ხარჯები“ კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“
- c. დებეტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“ კრედიტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“

### Question 21

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციიდან მატერიალური მარაგები გადაეცა იგივე დონის ორგანიზაციას. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება მარაგების გადამცემ ორგანიზაციაში:

Select one:

- a. დებეტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“ კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“
- b. დებეტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“ კრედიტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“
- c. დებეტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“ კრედიტი 2100 „ძირითადი აქტივები“

### Question 22

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციიდან სხვადასხვა სახის მატერიალური მარაგები გადაეცა ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციას. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება მარაგების მიმღებ ორგანიზაციაში:

Select one:

- a. დებეტი 6320 „გრანტები სასაქონლო ფორმით“ კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“
- b. დებეტი 2100 „ძირითადი აქტივები“ კრედიტი 6320 „გრანტები სასაქონლო ფორმით“
- c. დებეტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“ კრედიტი 6320 „გრანტები სასაქონლო ფორმით“

### Question 23

გადახდის განსახორციელებლად ორგანიზაცია სახელმწიფო ხაზინაში წარადგენს დოკუმენტაციას შემდეგი რიგითობით:

Select one:

- a. არც ერთი პასუხი არ არის სწორი
- b. საგადახდო მოთხოვნის წარდგენა, წინასწარი გადახდის დამოწმება, ვალდებულების დოკუმენტის წარდგენა
- c. ვალდებულების დოკუმენტის წარდგენა, საგადახდო მოთხოვნის წარდგენა, წინასწარი გადახდის დამოწმება.

#### Question 24

ორგანიზაციის მიმდინარე საბანკო ანგარიშიდან მისი თანხმობის გარეშე, უდავო წესით თანხის ჩამოწერა:

Select one:

- a. შეიძლება მოხდეს სასამართლო და სხვა ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელთაც კანონმდებლობის შესაბამისად გააჩნიათ გადასახდელის დაკისრების უფლებამოსილება
- b. დაუშვებელია;
- c. შეიძლება მოხდეს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით;

#### Question 25

საგადახდო მოთხოვნას საბიუჯეტო ორგანიზაცია ხაზინაში წარადგენს:

Select one:

- a. ვალდებულების დოკუმენტის ხაზინაში დარეგისტრირებამდე;
- b. ვალდებულების დოკუმენტის ხაზინაში დარეგისტრირების შემდეგ;
- c. ვალდებულების დოკუმენტის ხაზინაში დარეგისტრირების შემდეგ. ამასთან ერთად შესაძლებელია, რომ გადასახდელი თანხა იყოს დარეგისტრირებულ ვალდებულებაზე მეტი.

#### Question 26

გადახდაზე ვალდებულების აღება არის:

Select one:

- a. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გადახდაზე პასუხისმგებლობის აღება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ.
- b. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხები
- c. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო ხაზინაში დადგენილი წესით ვალდებულების რეგისტრაცია

#### Question 27

საბიუჯეტო ორგანიზაციამ მიმწოდებლებს ხაზინიდან წინასწარ გადაურიცხა თანხა. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება თანხის წინასწარ გადარიცხვაზე:

Select one:

- a. დებეტი 2132 „არამატერიალური ძირითადი აქტივები“  
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“
- b. დებეტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“  
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“
- c. დებეტი 1430 „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“  
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“

#### Question 28

საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანგარიშვალდებულმა პირმა წარმოადგინა დოკუმენტები მასალების შეძენაზე. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება მასალების შემოსავალში აღებაზე.

Select one:

- a. დებეტი 1621 „მასალები“  
კრედიტი 7200 „საქონელი და მომსახურება“
- b. დებეტი 1621 „მასალები“  
კრედიტი 1450 „მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ“
- c. დებეტი 7200 „საქონელი და მომსახურება“  
კრედიტი 1450 „მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ“

### Question 29

მივლინებულმა პირმა 1000 ლარზე წარმოადგინა ანგარიში (დოკუმენტები) გაწეული ხარჯების შესახებ, ხოლო 400 ლარი დააბრუნა სალაროში. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- a. დებეტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“ 1400  
დებეტი 1110 „სალარო“ 400  
კრედიტი 7820 „სხვადასხვა ხარჯები“ 1000
- b. დებეტი 7220 „მივლინების ხარჯები“ 1000  
დებეტი 1110 „სალარო“ 400  
კრედიტი 1461 „მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით“ 1400
- c. დებეტი 7200 „საქონელი და მომსახურება“ 1400  
კრედიტი 1461 „მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით“ 1400  
კრედიტი 7820 „სხვადასხვა ხარჯები“ 1000

### Question 30

დარიცხულია გაცემული სესხის მიხედვით მისაღები პროცენტები. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- a. დებეტი 1410 "მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან"  
კრედიტი 6450 "სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები"
- b. დებეტი 1351 "მისაღები პროცენტები"  
კრედიტი 6411 „მიღებული პროცენტები“
- c. დებეტი 1351 "მისაღები პროცენტები"  
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“